პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 17 (1187) | კვირა, 9 თებერვალი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურელთა დამფუძნებელ ყრილობაზე

სოფიაში გაიმართა ფიზკულტურისა და სპორტის ბულგარეთის კავშირის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც მოსახლეობაში მასობრივ - ფიზკულტურული მოძრაობის პოპულარიზაციის, სპორტული სექციების განმტკიცების, სპორტსმენთა აღზრდის, ბაზების მშენებლობის, ბავშვთა შორის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

ფიზკულტურისა და სპორტის კავშირისა და მისი დროებითი ცენტრალური საბჭოს (შეიქმნა გასულ წელს) არსებობის მოკლე პერიოდში, განხორციელებულ იქნა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, საგრძნობლად გაიზარდა ძირეული კოლექტივების და მათში მომეცადინეთა რიცხვი. განსაკუთრებით ფართო მასშტაბით გაჩაღდა ბაზების მშენებლობა. მარტო გასულ წელს ბულგარეთში დაიწყო 350 ბაზის მშენებლობა, მათგან მწყობრში უკვე ჩადგა 52 სტადიონი, 26 აუზი, 19 ტანვარჯიშელი დარბაზი და 2 დიდი სპორტდარბაზი.

ყრილობამ მიიღო კავშირის წესდება და აირჩია ცენტრალური საბჭო ლ. ავრამოვის მეთაურობით.



31 იანვარს მოსკოვში ჩამოვიდნენ საბჭოთა ველოსიპედისტები — ეგვიპტის საერთაშორისო ველორბოლაში გამარჯვებულნი.

სურათზე: მარცხნიდან — ი. მელიხოვი, გ. საიდხუჟინი, ა. ოლიზარენკო, ა. ჩერეპოვიჩი და ა. პეტროვი.

ფოტო ე. ევზერიხინასა.

იმარჯვებს ოლიმპიური ჩემპიონი

ბად-გაშტეინი (ავსტრია). აქ გაიმართა შეჯიბრება მაოფლიო პირველობაზე გიგანტურ სლალომში ვაჟთათვის. ტრასაზე რომლის სიგრძე უდრიდა 2,4 კილომეტრს, განლაგებული იყო 56 კარი. სიმაღლეთა განსხვავება უდრიდა 582 მეტრს.

მაოფლიო ჩემპიონს წოდება ამ სახეობაში ფოიპოვა ცნობილმა ავსტრიელმა სლალომისტმა, 3 ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელმა ტ. ზაილერმა, რომელმაც ტრასა განვლო 1 წუთსა 48,8 წამში. მეორე ადგილი დაიკავა ავსტრიელმა ი. რიდერმა.

საბჭოთა მოთხილამურეთაგან საუკეთესო იყო ა. ფილატოვი, რომელმაც დაიკავა 32-ე ადგილი.

1957 წლის პრიზიორები ალპინიზმში

საკავშირო მსაჯთა კოლეგიამ ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა ალპინიზმში 1957 წლის სეზონის უკეთესი ასვლების დადგენისათვის. წარდგენილი 18 ასვლიდან კონკურსის დებულების პირობებს აკმაყოფილებდა მხოლოდ 12, რომელთა შორის ასვლების კლასების მიხედვით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

ტექნიკურად რთული ასვლების კლასში პირველ ადგილზე გამოვიდა ტიხტინგენზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლით ასვლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი ლ. ფილიმონოვი („სპარტაკი").

მეორე ადგილი გაიყვეს მწვერვალ კუკურტლუზე სამხრეთ-დასავლეთ კედლით ასვლამ (ხელმძღვანელი სპორტის ოსტატი ვ. ნეკრასოვი, მოსკოვის სამხედრო ოლქი) და კოშტანტაუზე დასავლეთ კედლით ასვლამ (ხელმძღვანელი სპორტის ოსტატი ლ. კალაშვილი, „ბურევესტნიკი").

მესამე ადგილსაც ორი „მფლობელი" აღმოუჩნდა — მწვერვალ დონღუზორუნზე ჩრდილო-დასავლეთ კედლით ასვლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი მ. ხერგიანი („სპარტაკი") და ჩათინზე სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლით ასვლა (ხელმძღვანელი სპორტის ოსტატი ი. სოლოდუოვი, „ბურევესტნიკი").

საანგარიშო მასალების დაგვიანებით წარდგენის გამო კონკურსზე არ იქნა დაშვებული ჯანღარზე სამხრეთ კედლით ასვლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი გ. გულბანი (საქართველოს ალპური კლუბი), თუმცა ეს ასვლა კლასიფიცირებულ იქნა უმაღლეს კატეგორიად (ა-ბ+1).

ტრავერსების კლასში პირველი საპრიზო ადგილი წილად ხვდა დარვაზის ქედის ტრავერსს (ხელმძღვანელი სპორტის ოსტატი ჯ. მეძმარიაშვილი).

მეორე ადგილზეა დიხტაუ-კოშტანთაუს ტრავერსი (ხელმძღვანელი სპორტის ოსტატი ი. ერობინი, „ბურევესტნიკი").

მესამე ადგილზე გამოვიდა სუგან-თაუ-გალდორის ტრავერსი (ხელმძღვანელი სპორტის ოსტატი ი. სუჟაევი, ჩრდილოეთ ოსეთი).

სიმაღლოვანი ასვლების კლასში პირველი ადგილი მიეკუთვნა სტალინის პიკზე ჰამირის პლატოდან ასვლას, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. კუზმინი („ბურევესტნიკი").

მეორე ადგილზეა 26 კომისრის სახელობის პიკზე ასვლა. მისი ხელმძღვანელია ე. ტამი („ბურევესტნიკი"). მესამე ადგილი ხვდა ლენინგრადის პიკზე ასვლას, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. კუზმინი („ბურევესტნიკი").

საპრიზო ადგილებზე გასულნი ჯილდოვდებიან: პირველი ადგილისათვის — ოქროს მედლებითა და საკავშირო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომებით. მეორე ადგილისათვის — ვერცხლის მედლებითა და საკავშირო კომიტეტის II ხარისხის დიპლომებით. მესამე ადგილისათვის — ბრინჯაოს მედლებითა და საკავშირო კომიტეტის III ხარისხის დიპლომებით.

კერძოდ, დარვაზის ქედის ტრავერსისათვის დაჯილდოებულნი არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. ხერგიანი და ჭ. ჩართოლანი, სპორტის ოსტატები ჯ. მეძმარიაშვილი (ხელმძღვანელი), ლ. ახვლედიანი. პირველთანრიგოსნები — ზ. ახვლედიანი, ი. გაბლიანი, რ. ხაზარაძე, თ. კუხიანიძე, გ. აბაშიძე და ო. ხაზარაძე.

პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე ექსპედიციის ხელმძღვანელები და გუნდის მწვრთნელები ო. გიგინეიშვილი და ა. ივანიშკილი.

საკავშირო კომიტეტის სიგელები მიენიჭათ დამხმარე ჯგუფის მონაწილეებს: სპორტის ოსტატს დ. ობოლაძეს, (ხელმძღვანელი), პირველთანრიგოსნებს შ. მირ-ანაშვილს, ო. ბერაძეს, გ. თიკანაძეს და მეორეთანრიგოსანს გ. მაჭარაშვილს.

დარვაზის ქედის ტრავერსის ჩასატარებლად ექსპედიციის წარმატებით მომზადებისათვის ალ. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბი დაჯილდოებულია საკავშირო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომით და ევგენი აბალაკოვის სახელობის გარდამავალი თასით. ამას გარდა. ტრავერსის მონაწილეებმა ზ. ახვლედიანმა, ი. გაბლიანმა, რ. ხაზარაძემ, თ. კუხიანიძემ, გ. აბაშიძემ და ო. ხაზარაძემ შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმები.

ამავე დღეებში მოსკოვში საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს ფილმების წარმოების სამმართველომ მაღალი შეფასებით აღნიშნა დოკუმენტური ფილმი „შვიდი მწვერვალის იერიში" (დარვაზის ქედის ტრავერსი) საკავშირო ეკრანზე სადემონსტრაციოდ და საექსპორტოდ.

ფილმი წარმოდგენილი იქნება ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზეც. ფილმის ავტორ-ოპერატორია ბ. კრეპსი, ასისტენტი თ. მერკვილაძე, მუსიკა დაწერა ო. გორდელმა.

ა. ივანიშვილი,
საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი.



მოსკოვის ხიმკის სამდინარო სადგურზე მოეწყო კ. ე. ვოროშილოვის სახელობის ტრადიციული მოტოკროსი.

• • •

სურათზე: მონაწილეთა სტარტი 20-კილომეტრიან დისტანციაზე ქალთათვის.

ფოტო ლ. დორენსკისა.

ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში

ერევანში დამთავრდა სარკავშირის პირადი პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელს ერთმანეთს ეცილებოდნენ მოკავშირეთა, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი სპორტსმენები. ქალთა შორის ერთეულთა ფინალში გავიდნენ სომეხი ს. ხაზარიანი (რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა ლ. იზაშვილი) და ე. ლესტალი (ესტონეთი). მათი შეხვედრა დამთავრდა ესტონელი სპორტსმენის გამარჯვებით. ჩემპიონატში მესამე ადგილისათვის ბრძოლა გაიმართა ლ. იზაშვილსა და ლიტველ ა. ტვორონიტეს შორის. ქართველმა სპორტსმენმა შეხვედრა სპორტულად მაღალ დონეზე ჩაატარა, გაიმარჯვა და მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

ლ. იზაშვილი

◆

ვაჟთა შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ლიტველმა რ. პაშკიავიჩუსმა (ფინალში დამარცხა ერევნელი აკოპიანი). წყვილთა შორის პირველობა დაისაკუთრეს ზახარიანმა და რაჭანაუსკაიტემ, შერეულ წყვილებში პირველები იყვნენ ესტონელები ლესტალი და მეეკა, ვაჟთა წყვილებს შორის ჩემპიონები გახდნენ ლიტველები პაშკიავიჩუსი და საუნორისი.

მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის

4 თებერვალს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საშადრაკო კლუბში შედგა მსოფლიოს ჩემპიონის, ო. რუბცოვასა და მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის ე. ბოკოვას მატჩ-რევანშის I პარტია.

მატჩ-რევანშის მთავარი არბიტრი ე. ჰეილმო (ფინეთი) რთავს საათს. რუბცოვა (თეთრებით) აკეთებს სვლას. მსოფლიო ჩემპიონი მტკიცედ და დამაჯერებლად იამაშობს. ბიკოვამ დასაწყისშივე ვერ ააწყო დაცვა. ორი მცდარი სვლით მან გამოთიშა თამაშიდან თავისი კუ და მხედარი. პოზიციის ეს დიდი ნაკლი კარგად გამოიყენა მსოფლიო ჩემპიონმა, მწვავე სტილში ჩაატარა ალეში და 44-ე სვლაზე გაიმარჯვა.

II პარტიაში, რომელიც 6 თებერვალს გათამაშდა, ბიკოვა ოგრესიულად იყო განწყობილი. მას აჰყვა რუბცოვაც და დაფაზე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა მალე მეტოქეები მოხვდნენ ცაიტნოტში. მსოფლიო ჩემპიონს მხედველობიდან გამორჩა ბიკოვას შენიღბული ტაქტიკური დარტყმა, რომლის განხორციელებით ყოფილმა ჩემპიონმა მატერიალური ნადავლი მოიპოვა. ამაო იყო რუბცოვას შემდგომი წინააღმდეგობა. 43-ე სვლაზე იგი შეურიგდა დამარცხებას და დანებდა.

ოქროს მედლები ქართველ ალპინისტებს

დაიწყო ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის



ნიჭიერ ფეხბურთელთა კადრებს ამზადებს თბილისის ახალგაზრდული ფეხბურთის სკოლა. აქ გამოწრთობილი ფეხბურთელები მომდინარე წელს ითამაშებენ თბილისის „დინამოს“, საოლქო სპორტული კლუბის, „ბურევესტნიკის“ და ქუთაისის „ლოკომოტივის“ გუნდებში.



სურათებზე (ზევიდან ქვევით): მოზარდი ფეხბურთელები ვარჯიშობენ დამხმარე ინვენტარით. ეუფლებიან თეორიას და შემდეგ მას პრაქტიკულ მეცადინეობისას იყენებენ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

რეკორდების წელი

„რეკორდების წელი“ — ასე უწოდებენ ჩეხოსლოვაკიაში 1957 წლის სპორტულ სეზონს, რადგან ჩეხმა სპორტსმენებმა ამ პერიოდში დაამყარეს 385 რეკორდი. მათ სპორტის ხუთ სახეობაში მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა, ხოლო სპორტის სხვადასხვა სახეობაში რვაჯერ გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდები, თერთმეტი შესწორება შეიტანეს ევროპის რეკორდების ცხრილში და 366-ჯერ გააუმჯობესეს ეროვნული რეკორდები.

განსაკუთრებით წარმატებით გამოდიოდნენ ისინი ძალოსნობასა და საპარაშუტო სპორტში, სადაც 3-3 შესწორება შეიტანეს მსოფლიო რეკორდებში. თითო მსოფლიო რეკორდი იქნა დამყარებული პლანერიზმსა და ცურვაში. ჩეხოსლოვაკიის სპორტის ისტორიას არ ახსოვს იმდენი ეროვნული რეკორდი ცურვაში, რამდენიც გასულ სეზონში იქნა დამყარებული — 145.

გასული წლის განმავლობაში ჩეხოსლოვაკელებმა გამართეს 244 საერთაშორისო შეხვედრა და აქედან 149 შეხვედრა მოიგეს. ფეხბურთელთა ნაკრებმა 7 საერთაშორისო შეხვედრიდან 5-ში მოიპოვა გამარჯვება და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, ჰოკეისტებმა 10 შეხვედრიდან 6 მოიგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს.

მათი გეგმები

მეტად საინტერესო, მრავალრიცხოვან ღონისძიებებს შეიცავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტღონისძიებათა 1958 წლის კალენდარი, რომლის შემდგენლებმა ძირითადი ყურადღება გაამახვილეს მოსწავლეთა და მუშა ახალგაზრდობის შეჯიბრებებზე, რაც მიზნად ისახავს ძლიერ სპორტსმენთა შერჩევას. ნავარაუდევია გაიმართოს სრულიად ჩინეთის ამგვარი შეჯიბრებები სპორტის თითქმის ყველა სახეობაში.

მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების დღეებში ცინდაოში გაიმართება შეხვედრები მძლეოსნობაში, ხოლო პორტ-არტურისა და დალნის რაიონში — შეჯიბრებები ცურვასა და წყალში ხტომაში, კალათბურთში, ფრენბურთში და სხვა სახეობებში.

50-ჰდე შეჯიბრება მოეწყობა ქვეყნის პირველობაზე ქალაქების ნაკრები გუნდების მონაწილეობით. მათ შორის აღსანიშნავია ჩინეთის პირველი მარათონი და საგზატკეცილო ველოსიპედი, რომლებიც მაისში გაიმართება პეკინსა და ჩანჩუნში.

მოცურავეთა საქალაქო პირველობა

დამთავრდა თბილისის მოცურავეთა პირადი პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 100-ზე მეტი სპორტსმენი.

100-მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვა დინამოელ ლ. სმირნოვას გამარჯვებით დამთავრდა. მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ მისივე თანაკლუბელები ა. მორგუნენკო და თ. ქართველიშვილი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ბ. ნიკიტინმა თავისი უპირატესობა ამჯერადაც დაამტკიცა. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მან გაიმეორა წინა დღით ნაჩვენები შედეგი — 58,4 წამი და კვლავ დიდი უპირატესობით მოუგო თავის თანაკლუბელებს რ. კვაჭაძეს და ზ. ჩუბინიძეს, რომლებმაც შესაბამისად აჩვენეს 1.03,7 და 1.03,8.

200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში 16 წლის ლ. კრილოვამ („დინამო“) წინასწარ გაცურვაში ნაჩვენებ დროს 3 წამი ჩამოაკლო და უძლიერესის სახელი დაისაკუთრა. ამავე სახეობაში ვაჟთა შორის წინასწარ გაცურვაში საუკეთესო შედეგის მქონე ა. პტასინსკიმ ფინალში პირველობა არმიელ დ. მაიზერს დაუთმო.

100 მეტრი დელფინის სტილით დამაჯერებლად მოიგო თბილისის განათლების განყოფილების — „ნაკრების“ მადგენელმა ა. ნორიგიანმა. მეორე ადგილი წილად ხვდა მის თანაკლუბელ ტ. ნოვოსელცოვას. მესამე სარიზო ადგილზე გამოვიდა ლ. სმირნოვა. ვაჟთა შორის პირველობისათვის ბრძოლა დინამოელ ა. იურჩენკოსა და „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელ უმერენკოს შორის გაჩაღდა. უმერენკომ თანაბარი ძალით გაცურა მთელი დისტანცია და ფინიშთან პირველი მივიდა. მესამე ადგილი წილად ხვდა ახალგაზრდათა სპორტსკოლის წარმომადგენელ ო. პეტროვს.

ქალთა შორის 100 მეტრზე ზურგზე ცურვის ფინალში მოხვედრილ 6 მონაწილეთაგან ორმა უარი თქვა შეჯიბრებაზე. სტარტი აიღეს დინამოელმა ლ. კრილოვამ და ა. მორგუნენკომ. თავიდანვე დაწინაურებულ კრილოვას მეტოქე კვალდაკვალ მიჰყვა, მაგრამ უშედეგოდ, ეს კრილოვას მეორე გამარჯვებაა ამ შეჯიბრებაში.

ვაჟებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება სპორტის ოსტატ დინამოელ ბ. კამენსკის დარჩა — 1.08,9. მეორე ადგილზე გამოსულ ბურევესტნიკელი ვ. სოტნიკოვი მას 3 წამით ჩამორჩა.

400-მეტრიან დისტანციაზე თავიდან აღებული ტემპი ბოლომდე შეინარჩუნა და პირველობა დაისაკუთრა დინამოელმა ზ. ჩუბინიძემ. მეორე ადგილზე არმიელი ვ. გარნოვი გამოვიდა.

ქალთა შორის ამ დისტანციაზე მხოლოდ მოსწავლე გოგონა ეკატერინა „შებედა“, მაგრამ მას მხარი არავინ ამოუდგა, ამიტომ შეჯიბრება არ შედგა.

ასეთივე ბედი ეწია 1.500-მეტრიან დისტანციას.

შეჯიბრებამ ნათელჰყო, რომ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა დელფინისტთა და გრძელ დისტანციაზე მოცურავე სპორტსმენთა მოამზადების საქმეში.

ა. ბარნოვი

ის მოსწავლეები, რომლებიც სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ვარჯიშობენ ცენტრალურ სექციებში, სპარტაკიადაზე გამოვლენ იმ სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის სახელით, სადაც ისინი სწავლობენ. რაიონული პირველობების განსაზღვრა ხდება მონაწილე სკოლების მიერ მოპოვებული ადგილების მიხედვით.

სპარტაკიადის ჩატარებისა და გამარჯვებულთა განსაზღვრის ეს სისტემა საგრძნობლად ზრდის ფიზკულტურის სასკოლო კოლექტივების პედკოლექტივისა და ფიზიკურზრდის მასწავლებელთა დაინტერესებას, ხელს უწყობს სპორტის თითქმის ყველა სახეობის შემდგომ განვითარებას, რაც თავის მხრივ ძლიერ შეეწევა მისცემს რესპუბლიკურ ნაკრებს გასული წლის საკავშირო სპარტაკიადაზე მოპოვებულ წარმატებათა არა მარტო შენარჩუნების, არამედ უკეთესი მაჩვენებლების მიღწევისათვისაც.

კალენდრის შემდგენლებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ სპორტის ის სახეობები, რომლებიც სპარტაკიადების პროგრამაში არ შედის სპეციალური კალენდრით გაიმართება საქალაქო პირველობები კრივში, ქართულ ჭიდაობასა და წყალბურთში. ყველაზე ნორჩი სპორტსმენებისათვის ნავარაუდევია საქალაქო შეჯიბრებები პიონერთა რაზმეულებს შორის, სამატჩო შეხვედრები, საკლასიფიკაციო შეჯიბრებები, გეზრბენები და სხვა.

საშემოდგომო და საგაზაფხულო სპარტაკიადები

მზარდ ნორჩ სპორტსმენთა გამოვლინების მიზნით თბილისის განათლების განყოფილება ყოველწლიურად ატარებდა მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადას, რომლებშიც მონაწილეობდნენ დედაქალაქის რაიონების მოსწავლეთა ნაკრები კოლექტივები. ამასთან სპარტაკიადის პროგრამა განისაზღვრებოდა 7-8 სახეობით. ასეთი სისტემა, როგორც სკოლებს, ისე რაიონების ყურადღების გარეშე ტოვებდა სპორტის სხვა სახეობებს. რაიონების განათლების განყოფილებები სპორტსმენთა შერჩევას ცდილობდნენ მხოლოდ იმ სახეობებში, რომლებიც სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა.

როცა ახალ სპორტღონისძიებათა კალენდარს ადგენდნენ, ყველა ზემოთაღნიშნული გაითვალისწინეს თბილისის განათლების განყოფილების ფიზკულტურის სექტორის მუშაკებმა და კალენდარი ისე შეადგინეს, რომ მისი განხორციელება შესაძლებელს გახდის გამოავლინოს არა მარტო უძლიერესი სკოლა დედაქალაქში, არამედ უძლიერესი სპორტსმენებიც სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. ახალი კალენდრით გათვალისწინებულია დედაქალაქის მოსწავლეთა ორი — საგაზაფხულო და საშემოდგომო სპარტაკიადის ჩატარება, რომლის პროგრამაშია სპორტის 17 სახეობა (კალათბურთი, ველოსიპორტი, ფრენბურთი, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ცურვა. წყალში ხტომა, სროლა, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი, ფარიკაობა, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა). საგაზაფხულო სპარტაკიადა გაიხსნება აპრილის მეორე ნახევარში და გაგრძელდება მაისის ბოლომდე. შეჯიბრებებზე დაიშვებიან 1940-41-42 წლებში დაბადებული მოსწავლეები, ხოლო საშემოდგომო სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ 1941-42-43 წლებში დაბადებულები.

ქალაქ თბილისის განათლების განყოფილებამ ყველა სკოლას დაავალა სპარტაკიადაში მონაწილეობა აუცილებლად ამორჩევით ორ სახეობაში. მაგრამ ეს სისტემა არ კრძალავს სპორტსმენთა გამოყვანას სხვა სახეობებშიც. პირიქით, იმ სკოლებს, რომლებიც, რაც შეიძლება მეტ სახეობაში მიიღებენ მონაწილეობას, ადგილების განსაზღვრისას ეძლევათ უპირატესობა. ამასთან სკოლების გარდა მონაწილეობდნენ რაიონის დაბალი ზონის სოფლების ფიზკულტურული კოლექტივები, რითაც იგი განსხვავდებოდა სხვა დროს ჩატარებული შეჯიბრებებისაგან, როცა რაიონულ პირველობებში ფაქტიურად მხოლოდ 2-3 გუნდი მონაწილეობდა.

ჩემპიონატში საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ბაკურიანის საშუალო სკოლის კოლექტივმა, მეორე ადგილი მიეკუთვნა სპორტსახოგადოება „კოლმეურნეს“ გუნდს. პირადი ადგილები ცალკეულ სახეობათა მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

სლალომსა და სწრაფდაშვებაში გოგონებიდან ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ბაკურიანელი ლ. გოგოლაძე, ვაჟებიდან ორივე სახეობაში გაიმარჯვა „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა შ. კოზანაშვილმა. 15-კილომეტრიან დისტანციაზე ვაჟებიდან ფინიშთან პირველი იყო ლ. ქუმარიტაშვილი („კოლმეურნე“), ქალთა 5 და 10-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა ქ. ჯეირანაშვილმა.

30 კილომეტრზე რაიონში უძლიერესის სახელი მოიპოვა ბაკურიანის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა ნ. თვაურმა. სამთო ორჭიდში საუკეთესო შედეგი აჩვენა ბაკურიანის საშუალო სკოლის მასწავლემ ჯ. წაქაძემ, ხოლო ტრამპლინიდან ხტომაში — „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა ა. ჩუბაკოვ.

შეჯიბრებამ გამოავლინა ნაკლოვანებებიც: იმის გამო, რომ სრული გუნდების გამოყვანა მხოლოდ ორმა კოლექტივმა შეძლო, გარდამავალი პრიზი არ გათამაშებულა, ეს ძირითადად განაპირობა იმან, რომ რაიონის ძირეულ კოლექტივებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ინვენტარის შეძენასა და სექციების ნორმალურ მუშაობას. წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სკოლების დირექტორები, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ რაიონში სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ყვიბისისა და წაღვერის საშუალო სკოლების, № 7 სახელოსნო სასწავლებლის კოლექტივებმა მიუხედავად იმისა, რომ შეძლებლობა ჰქონდათ, თავი აარიდეს აღნიშნულ ღონისძიებას.

მ. გოგლიძე

აჩრჩევნებს მიუძღვნეს

სიღნაღის რაიონის ბოდბის საშუალო სკოლაში გაიმართა სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები მძლეოსნობასა და ფრენბურთში. მძლეოსნობის სტარტზე გამოვიდა 150 მოსწავლე. 100 მეტრზე რბენაში მესამე თანრიგის ნორმატივი შეასრულეს ვ. და რ. ტარყაშვილებმა და ს. გოჩიტაშვილმა, ყუმბარის ტყორცნაში — დ. ჭოქაშვილმა.

მოეწყო აგრეთვე კროსები 5 და 10 კილომეტრზე. როგორც ვაჟთა, ისე გოგონათა შორის გამარჯვეს მეათეკლასელებმა შ. ბახუტაშვილმა და ი. ნატროშვილმა.

ა. ხმალაძე

გაიზარდა მონაწილეთა რაოდენობა

ბაკურიანში ჩატარდა ბორჯომის რაიონული პირველობა სათხილამურო სპორტში. პროგრამაში შედიოდა სლალომი, სამთო ორჭიდი, სწრაფდაშვება, რბენა სხვადასხვა დისტანციაზე და ხტომა 40-მეტრიანი ტრამპლინიდან.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: ბაკურიანის საშუალო სკოლის, „კოლმეურნის“, „განთიადის“, ციხისჯვრის. დვირის, ტაძრისის, ბორჯომის რუსული და I საშუალო სკოლების 100-ზე მეტი ჰაბუკი და გოგონა.

შეჯიბრებამ გამოავლინა ბევრი კარგი სპორტსმენი და ფიზკულტურული კოლექტივი. აღსანიშნავია ის გარემოება. რომ ბაკურიანში ჩატარებულ აღნიშნულ შეჯიბრებაში ადგილობრივ სპორტსმენთა მონაწილეობდნენ რაიონის დაბალი ზონის სოფლების ფიზკულტურული კოლექტივები. რითაც იგი განსხვავდებოდა სხვა დროს ჩატარებული შეჯიბრებებისაგან, როცა რაიონულ პირველობებში ფაქტიურად მხოლოდ 2-3 გუნდი მონაწილეობდა.

ჩემპიონატში საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ბაკურიანის საშუალო სკოლის კოლექტივმა, მეორე ადგილი მიეკუთვნა სპორტსახოგადოება „კოლმეურნეს“ გუნდს. პირადი ადგილები ცალკეულ სახეობათა მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

სლალომსა და სწრაფდაშვებაში გოგონებიდან ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ბაკურიანელი ლ. გოგოლაძე, ვაჟებიდან ორივე სახეობაში გაიმარჯვა „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა შ. კოზანაშვილმა. 15-კილომეტრიან დისტანციაზე ვაჟებიდან ფინიშთან პირველი იყო ლ. ქუმარიტაშვილი („კოლმეურნე“), ქალთა 5 და 10-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა ქ. ჯეირანაშვილმა.

30 კილომეტრზე რაიონში უძლიერესის სახელი მოიპოვა ბაკურიანის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა ნ. თვაურმა. სამთო ორჭიდში საუკეთესო შედეგი აჩვენა ბაკურიანის საშუალო სკოლის მასწავლემ ჯ. წაქაძემ, ხოლო ტრამპლინიდან ხტომაში — „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა ა. ჩუბაკოვ.

შეჯიბრებამ გამოავლინა ნაკლოვანებებიც: იმის გამო, რომ სრული გუნდების გამოყვანა მხოლოდ ორმა კოლექტივმა შეძლო, გარდამავალი პრიზი არ გათამაშებულა, ეს ძირითადად განაპირობა იმან, რომ რაიონის ძირეულ კოლექტივებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ინვენტარის შეძენასა და სექციების ნორმალურ მუშაობას. წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სკოლების დირექტორები, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ რაიონში სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ყვიბისისა და წაღვერის საშუალო სკოლების, № 7 სახელოსნო სასწავლებლის კოლექტივებმა მიუხედავად იმისა, რომ შეძლებლობა ჰქონდათ, თავი აარიდეს აღნიშნულ ღონისძიებას.

მ. გოგლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინიში

საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობა

პირველი ტურის ფინიშზე

ფრენბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელმა დღემ ერთგვარად შეაჯამა გუნდების მდგომარეობა, მათი მომზადების დონე და ხარისხი — გათამაშების სტარტზე — პირველ ეტაპზე. თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა (ვაჟები) 5 კალენდარულ შეხვედრაში ყველა მოიგო და პირველობას მოექცა სათავეში. მოსკოვის „ბურევესტნიკმა“ ტურნირი ერთი წაგებით დაამთავრა. სამჯერ დამარცხება და ორ-ორი მოგება ჰქონდათ ლენინგრადის არმიელებს და თბილისის „ბურევესტნიკს“. ლენინგრადელების „ბურევესტნიკმა“ და მოსკოვის „სპარტაკმა“ თითო შეხვედრა მოიგეს.

ქალთა შორის ტურნირი წაგებულად დამთავრა ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“. თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი მას ერთი ქულით ჩამორჩა. მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილები გაიყვეს ბაქოს „ნეფტიანიკის“, კრასნოდარის „დინამოსა“ და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელებმა. ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგეს მოსკოვის სპარტაკელებმა. ასეთია სატურნირო ცხრილის საბოლოო მდგომარეობა თბილისის ჯგუფის გათამაშების შემდეგ.

ჩემპიონატის უკანასკნელი დღის შედეგებს არავითარი შესწორება არ შეუტანია გუნდების პირვანდელ მდგომარეობაში — ძლიერებმა მოიგეს მორიგი გამარჯვება, სუსტები კი დამარცხდნენ. და მაინც ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ შეხვედრაზე, რომელიც საკმაოდ ახლოს დგას თბილისის სპორტის მოყვარულთა ინტერესებთან. ლაპარაკი გვაქვს ისევ თბილისის „ბურევესტნიკზე“ და მის უკანასკნელ მეტოქეზე — მოსკოვის არმიელებზე.

თბილისელებათვის ამ მატჩის ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. „ბურევესტნიკმა“ პირველი პარტია მეტად ნერვიულად დაიწყო. მუსხელიშვილის, ჟიგულინისა და ბოიკოს შეცდომებმა სტუმრებს საშუალება მისცა ანგარიში წაეყვანათ—8:0. შემდეგ თბილისელებმა აიღეს ქულა (არმიელ ფასახოვის შეცდომით), მაგრამ პირველ პარტიას არ უჩანდა კარგი პირი. არმიელებმა იოლად მოიგეს იგი ანგარიშით 15:3.

მეორე პარტიაში ძალთა თანაფარდობა ოდნავ შეიცვალა თბილისელთა სასარგებლოდ, მაგრამ „ბურევესტნიკმა“ მაინც წაგო პარტია ანგარიშით 15:9. მეკამე პარტიისათვის მასპინძლები გათამაშდნენ. ისინი ბოლოსდაბოლოს მიხვდნენ, რომ ბრძოლაში წაგებული პარტია მაინც საპატიოა და უსიტყვო კაპიტულაციიდან გადავიდნენ თამამ შეტევაზე. დაკარგვით ისინი არაფერს კარგავდნენ, ჩვენს ახალგაზრდულ კოლექტივს ვერავინ უსაყვედურებდა არმიელებთან წაგებას. ბოლო მესამე პარტია არმიელთა გამარჯვების მიუხედავად, მეტად მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. ამაზე ნათლად ისიც მეტყველებს, რომ ანგარიში 19-ჯერ საყამოო იყო და პარტია თბილისელებმა წააგეს მხოლოდ მინიმალური ანგარიშით — 15:17. გამოცდილებამ, მაღალმა ოსტატობამ და ძალამ მაინც თავისი გაიტანა. მიუხედავად ამისა, ინტერესმოკლებული არ იქნება, კვლადაკვალ გავყვეთ იმ ფაქტობრივ მიზეზებს, რამაც გამარჯვება მოუტანა მოსკოვის გუნდს. მივმართოთ შეხვედრის მსვლელობის უტყუარ საბუთს — სამსაჯო ოქმს.

კვლავინდებურად მოისუსტებდა ბლოკი. პირველ პარტიაში ჩვენმა გუნდმა 6-ჯერ არასწორად აღმართა ბლოკი და დაკარგა ქულები. მეორე პარტიაში ეს რიცხვი ოთხამდე დავიდა და ეს იმავ წამს ანგარიშსაც დაეტყო. მესამე პარტიაში მართალია, თბილისელებმა არასწორი ბლოკით 9 ქულა დაკარგეს, მაგრამ მას გაცილებით უფრო მეტჯერ მიმართეს, ვიდრე წინა ორ პარტიაში ერთად აღებული და მაინც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი გუნდი ბლოკს, დაცვის ამ ელემენტარულ და ყველაზე უებარ საშუალებას, არასწორად და ნაკლებად იყენებს. გუნდის მწვრთნელებმა და თვით სპორტსმენებმა პირველ რიგში სწორედ მას უნდა მიაქციონ ყურადღება.

რესპუბლიკაში უძლიერესის გამოსავლინებლად

ის-ის იყო დაცხრა საბჭოთა კავშირის უძლიერეს ფრენბურთელთა შეხვედრები და ერთი დღის შემდეგ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩამოწოლილი სიწყნარე კვლავ ნაცნობმა ხმაურმა დაარღვია. დაიწყო საქართველოს ფრენბურთელთა შესარჩევი ტურნირი. მასში მონაწილეობს ქალთა და ვაჟთა 12-12 გუნდი, რომლებიც სამ ჯგუფად არიან დაყოფილი. ქვეჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გამოსული გუნდები შეადგენენ ფინალურ ჯგუფს, სადაც გათამაშდება „ბ“ კლასში საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამოსვლის უფლებაც.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გორის, ფოთის, რუსთავისა და ლაგოდეხის გუნდები.

შეჯიბრების პირველი დღე არ იყო მაინცდამაინც დაძაბული და მაღალტექნიკური ბრძოლების აღსავსე და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ამ ტურში ძლიერი გუნდები შედარებით სუსტებს ხვდებოდნენ და შეხვედრათა შედეგიც თითქმის წინასწარ იყო ცნობილი.

გაბონაკლისს შეადგენდა მხოლოდ გორისა და აჭარის ფრენბურთელ ქალთა შეხვედრა, რომელიც პრინციპულ ხასიათს ატარებდა. მათ შორის გამარჯვებულს ქვეჯგუფში მეორე ადგილის მოპოვებისა და მაშასადამე, ფინალში გასვლის რეალური შანსები ექნებოდა. მართალია, ამ შეხვედრის ბედი მხოლოდ გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში გადაწყდა გორელთა სასარგებლოდ, მაგრამ ეს სრულებითაც არ მეტყველებს სპორტული ბრძოლის მაღალ დონეზე. ორივე მხარე თამაშობდა ქაოტურად და უამრავ შეცდომებს უშვებდა.

საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა აფხაზეთისა და ფოთის ფრენბურთელ ვაჟთა შეხვედრა. მაშინ, როცა ფოთელებს საერთო ანგარიში 2:1-ზე მიჰყავდათ, ხოლო მეოთხე პარტიაშიც მეტად ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან (14:13), თამაშში გარდატეხა მოხდა და აფხაზეთის წარმომადგენლებმა ზედიზედ მოიგეს მეოთხე და ბეხუთე პარტიები და მასთან შეხვედრაც.

დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია: **ქალები** — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბ)-სამხრეთ ოსეთი — 3:0, სპი-რუსთავი — 3:0, აფხაზეთი-„ლოკომოტივი“ (თბ) — 3:1. თბილისის განათლ. განყ.-ლაგოდეხი — 3:0, „განთიადი“ (თბ)-ქუთაისი — 3:0, **ვაჟები** — სპი-რუსთავი — 3:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი-სამხრეთ ოსეთი — 3:0, საოლქო სპორტული კლუბი-ლაგოდეხი — 3:0, აჭარა-გორი — 3:0, რკინიგზის ინსტიტუტი (თბ)-ქუთაისი — 3:0.

ლ. ფალიანი

ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა ჟიდაობა სამბოში — ბ. თედეევს, მხატვრულ ტანვარჯიშში—ე. ადაშკოვას, ხელბურთში — ა. კარაპეტოვს (სამივე თბილისი, „ბურევესტნიკი“).

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა ფეხბურთში—ა. ჩიტაიას, ტყვიით სროლაში—მ. ჟურაშვილს, კალათბურთში—გ. შარაშიძეს (სამივე თბილისი, „ბურევესტნიკი“), ტანვარჯიშში — შ. ლითანიშვილს (გორი, „ბურევესტნიკი“).

გამოვლინდნენ

საქართველოს პირადი პირველობა კრივში

ბათუმის ხალხური შემოქმედების სასოლქო სახლის შენობაში სამ დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკის პირადი პირველობის გათამაშება კრივში. საქართველოს ჩემპიონის სახელისათვის იბრძოდა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, ტყვარჩელისა და გუდაუთის 65 უძლიერესი სპორტსმენი.

შეხვედრები ყოველ წონით კატეგორიაში ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლებით. უმჩატესი წონის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გასული წლის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ი. შუპეტკოვი და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჩემპიონი ი. აკმურზინი. სამრაუნდიანმა დაძაბულმა ბრძოლამ გამარჯვება სასწორი არმიელის მხარეს გადაარა. აკმურზინი გახდა რესპუბლიკის ახალი ჩემპიონი. შუპეტკოვი დარჩა მეორე ადგილზე, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა ე. ჩიქაელიანს (ფოთის „განთიადი“).

ჩატე წონის ფინალში მეშვიდეულ შეხვედნენ ერთმანეთს ბათუმელი სპორტის ოსტატი შ. ხუდოიანი და მნაცაკანოვი (ოსკ-ა). მანამდე ორივე ხუთჯერ იძულებულნი იყვნენ გამარჯვებულად ხუდოიანი ყოფილიყო და მხოლოდ ერთხელ მნაცაკანოვი. ამჯერად, ბათუმელმა შეხვედრა ააგო დისტანციურ ბრძოლაზე, რადგან ახლო ბრძოლაში მნაცაკანოვს შეეძლო გვერდითი დარტყმებით უსიამოვნება მიეყენებინა.

ტაქტიკა სწორი გამოდგა. მან ინიციატივა შეინარჩუნა სამივე რაუნდში და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. მესამე ადგილი წილად ხვდა სოხუმელ ვ. ტორჩუას.

მხოლოდ წუთი და ოცი წამი გაგრძელდა ქვემსუბუქი წონის მოკრივეების ქუთაისელი ჯ. კვანტალიანის და თბილისელ ე. ხომასურიძის ბრძოლა. გასული წლის ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში გამარჯვებულმა კვანტალიანმა გონივრული და ტაქტიკურად გამართული მანევრებით ადვილად ძლია მოწინააღმდეგეს—ბრძოლის ბედი პირველსავე რაუნდში გადაწყდა. მესამე ადგილი ამ წონით კატეგორიაში მოიპოვა თბილისელმა რ. ნასოევმა.

მსუბუქ წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: პირველი — რ. გრიგორიანი, მეორე — ე. ასლანიანი და მესამე — შ. ვარდანიანი. პირველ ქვესაშუალო წონაში საქართველოს ჩემპიონი გახდა ზ. კოზაევი, რომელმაც მოუგო ფინალური შეხვედრა თბილისელ ფინანსოვს. ეს ბრძოლა იყო მეტად არასპორტული და ტექნიკურად უსუსური. შეხვედრის მსაჯიას მეტი პრინციპულობა და სითამამე რომ გამოეჩინათ, შეიძლებოდა მისი შედეგი სხვანაირი ყოფილიყო. საქმე იმაშია, რომ კოზაევი საკმაოდ არაორგანიზებული მებრძოლია. რინგზე მისი მოქმედება ხშირად ქუჩურ ჩხუბს წაგავს. ფართოდაა წარმოდგენილი სხვადასხვაგვარი აკრძალული ხერხები და უხეშობანი. ამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გამოვიდა ბათუმელი ი. გაიდამაკი.

მეორე ქვესაშუალო წონაში წარმატება ხვდა წილად მოკრივეთა ახალი თაობის წარმომადგენელს თბილისელ ო. ზებულაშვილს. ახალგაზრდა სპორტსმენი წელს პირველად გამოვიდა მოზრდილებში და საკმაო წარმატებასაც მიაღწია. ფინალური ბრძოლა მან მოუგო გამოცდილ ს. აბაზაძეს და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. მესამე ადგილზე გამოვიდა პ. ხუბეკოვი (ფოთი).

სპორტის ოსტატმა გ. დარბაისელმა ისევე, როგორც კოზაევმა, მაყურებელს აჩვენა საკმაოდ უინტერესო ბრძოლა. დარბაისელის და არმიელ ვ. ზარუბინის შეხვედრა ყველაფერს გავდა კრივის გარდა. პირველი ადგილი წილად ხვდა სპორტის ოსტატს. მესამე ადგილი დარჩა თბილისის „დინამოს“ წარმომადგენელს ფროლოვს.

კიდევ ერთი ახალი ჩემპიონი გამოვლინდა პირველ საშუალო წონაში. ეს იყო ახალგაზრდა თბილისელი ვ. სილაგაძე, რომელმაც ფინალში დამარცხა ა. კოლესნიკოვი (ოსკ-ა). მესამე ადგილი ამ წონით კატეგორიაში წილად ხვდა ფოთის წარმომადგენელს ნ. ამაშუკელს.

საინტერესოდ ჩატარდა პირველობისათვის ბრძოლა ქვემძიმე წონაში. ჯერ იყო და მაყურებელი აღფრთოვანებული ალოდა სპორტის ოსტატ თ. ჩიქაელიანისა და თბილისელ კონიაკინის შეხვედრამ. ეს ბრძოლა, რომელიც გაიმართა პირველ ტურში, ფაქტიურად ფინალური ბრძოლა იყო. პირველ რაუნდში კონიაკინმა ძლიერი დარტყმით ნოკდაუნში გაგზავნა მიქაელიანი. ყველას ეგონა, რომ ეს უეცარი მარცხი წონასწორობიდან გამოიყვანდა ოსტატს. მაგრამ მიქაელიანმა შეძლო ძალების მობილიზება და მეორე რაუნდში კონტრშეტევაზე გადასვლა. კონიაკინი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში და ამან გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. ფინალში მიქაელიანმა მეორე რაუნდში ნოკაუტით მოუგო ბრძოლა ა. კარასევს და შეინარჩუნა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება. მესამე ადგილზე გამოვიდა თბილისელი კონიაკინი.

ხუთი მოკრივე იბრძოდა პირველობისათვის მძიმე წონაში. კ. ბაბახანიდმა მოუგო რა შეხვედრები თავის ძმას ვ. ბაბახანიდს და თბილისელ ი. ცვეტკოვს, გავიდა ჩემპიონატის ფინალში. კარგი მაჩვენებლებით მოვიდა ფინალამდე თბილისელი დ. ჩოგოვაძე. სამრაუნდიანი თანაბარი, გადამწყვეტი ბრძოლა ფინალში დამთავრდა ბაბახანიდის გამარჯვებით. მესამე ადგილზე გამოვიდა ვ. ბაბახანიდი.

ჩატარებულმა პირველობამ გვიჩვენა მოკრივეთა ოსტატობის შემდგომი ზრდა ზოგიერთ წონით კატეგორიებში (უმჩატესში, მჩატეში, ქვემსუბუქ და ქვემძიმე წონებში), რაც უმთავრესად ნიშნავს ახალგაზრდობის გამოჩენითაა გამოწვეული. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ქუთაისელი ჯ. კვანტალიანი, სოხუმელი ვ. ტორჩია და თბილისელი თ. ზებულაშვილი.

ა. ბაქრაძე,
სპორტის ოსტატი.

ჩემპიონები



ნიშნოსანთა მზადება გრძელდება

ბაკურიანის ტურისტული ბაზის ხელმძღვანელობამ წელს პირველად სცადა ზამთრის პირობებში ჩაეტარებინა „სსრ კავშირის ტურისტის“ ნიშნოსანთა მომზადება სტუდენტთა არდადეგების პერიოდში.

ამ ნიშნის მისაღებად სპორტსმენმა მონაწილეობა უნდა მიიღოს 5-დღიან ლაშქრობაში ღამისთევებით და, გარდა ამისა, შეისწავლოს ისეთი საკითხები, როგორიცაა მთის საშიშროება და მისგან თავდაცვა, ორიენტირება მთაში, პირველადი საექიმო დახმარება, კონტროლი და სხვ. განსაკუთრებით კარგად უნდა იყოს დაუფლებული მოლაშქრე სათხილამურო ტექნიკას, ვინაიდან ლაშქრობის დროს მას უხდება მრავალი კილომეტრის გავლა რთული ჰოთილის დისტანციაზე.

ტურბაზამ შოაწყო ორდღიანი ლაშქრობები მარშრუტით: ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარი (ღამისთევა)—ცხრაწყარო-ბაკურიანი და ბაკურიანი-ლებანი-ბორჯომი (ღამისთევა) — ბაკურიანი.

ლაშქრობის დღეები დამთავრდა. ჩატარდა გამოცდები და ყველა მონაწილეს გადაეცა „სსრ კავშირის ტურისტის“ სამკერდე ნიშნები. 10 დღის განმავლობაში ტურბაზამ მოამზადა რამდენიმე ათეული ნიშნოსანი, მათ შორის ორიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის, თბილისის პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ახვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

ნიშნოსანთა მომზადება გრძელდება

გ. თომაევი,
ბაკურიანის ტურბაზის უფროსი ინსტრუქტორი.

საიუბილეო

თბილისის 1958 წლის ჩემპიონატი, რომელიც რესპუბლიკის ცენტრალურ საქადრაკო კლუბში დაიწყო, საიუბილეოა. იგი მიეძღვნა თბილისის 1500 წლისთავს.

თბილისის ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლაში ნახევარფინალებში გაიმარჯვებულ 12 უძლიერეს პირველთანრიგოსანსა და ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატებს გ. კალატოზიშვილსა და თ. კიკიანთან ერთად, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ თამაშობენ ოსტატი ა. ებრალიძე, ოსტატობის კანდიდატები თ. გიორგაძე და ო. კაკაბაძე.

ახალგაზრდობის მონაწილეობა ჩემპიონატს სტარტიდანვე დაეტყო. თამაშები მეტად დაძაბულად ძამდინარეობს. გათამაშებულ სამ ტურში თავი იახელა თ. ლომაიამ, რომელმაც დაამარცხა თ. კიკიანი, ვ. კაჭარავა და ა. ებრალიძე. გ. კალატოზიშვილმა ორი ქულა დააგროვა. უმრავლესობას კი ორ-ორი გადადებული პარტია აქვს, ამიტომ მათი სატურნირო მდგომარეობა ჯერჯერობით გაურკვეველია.



ჯ. პეტროსიანი და მ. ჯალი მეტკიცედ ლიდერობენ გათამაშებას
ბ. გურგენიძე ოთხეულის სერიოზული პრეტენდენტია
ა. ტოლუში დამკვიდრდა ბოლო ადგილზე

რიგი XXV ჩემპიონატი

XV ტურით დაიწყო ფინიში. ის ლიდერი (რომელთა რაოდენობა ცხრამდე აღწევს), რომელიც მოკლე დისტანციაზე (დარჩა ხუთი ტური) შეძლებს ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებას და 3 ქულის მოგროვებას, ნამდვილად მოხვდება სანუკვარ ოთხეულში. მაგრამ ეს არც თუ ისე ადვილია, მით უმეტეს, რომ ლიდერები ერთმანეთს ხვდებიან.

ამ უაღრესად დაძაბულ სპორტულ პაექრობაში პარტიების დამთავრებისათვის არ კმარა ერთი ტურის დრო. ასე მოხდა XV ტურშიც, როცა ცხრა შეხვედრიდან მხოლოდ სამ პარტიაში იქნა ფიქსირებული შედეგი. მშვიდობიანი თამაშის შემდეგ მე-20 სვლაზე ყაიმით დასრულდა სპასკისა და პეტროსიანის შეხვედრა.

ტოლუში თამამად ეკვეთა გურგენიძის მეფის ფრთას. მეტად საშიში იერიშები წამოიწყო, მაგრამ ქართველმა ოსტატმა გეგმიანი მანევრებით განეიტრალა მდგომარეობა, ხოლო ლაზიერების გაცვლით ბრძოლა საინტერესო დაბოლოებაში გადაიყვანა. ენდშპილში გროსმაისტერმა დაუშვა შეცდომა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა გურგენიძემ. 28-ე სვლაზე ტოლუში დანებდა. ამ გამარჯვებით თბილისელი ოსტატი ოთხეულის სერიოზული პრეტენდენტი გახდა.

კორჩნოიმ კომბინაციური თავდასხმით დაამარცხა კროგიუსი.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. ტალი ენერგიულად თამაშობდა პოლუგაევსკისთან XIII ტურიდან გამოტოვებულ პარტიას. მაგრამ კუიბიშეველი ოსტატი კარგად იგერიებდა მუქარებს. გადადებულ პოზიციაში ტალს მხოლოდ ფიგურების უკეთესი განლაგება აქვს. გელერს შეუძლია მოუგოს ტაიმანოვს, თუ სრულად გამოიყენა თავისი პოზიციის შესაძლებლობანი. მედგარი დაცვის შემდეგ სუეტინმა თანაბარ მდგომარეობაში გადადო პარტია ბრონშტეინთან. კოტოვი აქტიურ პოზიციას ინარჩუნებს ფურმანთან, ხოლო ბოლესლავსკი—ავერბახთან. ბანიკს ალბათ გაუჭირდება პარტიის გადარჩენა გაპსლისთან, რომელსაც ზედმეტი პაიკი აქვს.

XVI ტურში მხოლოდ ორი პარტია გადაიდო. სპასკის თუმცა პაიკი აკლია უკრაინის ჩემპიონ ბანიკთან, მაგრამ მისი პოზიცია ბევრად უკეთესია. კოტოვის უპირატესობით გადაიდო პარტია კროგიუსთან.

ზრავალრიცხოვანი მაყურებლის ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების პარტიები. ტალმა მსუბუქად გაითამაშა დებიუტი ფურმანთან და მნიშვნელოვანი უპირატესობაც მოიპოვა. მისი გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ ახალგაზრდა გროსმაისტერმა მოინდომა უპირატესობის რეალიზაცია სწრაფ ტემპში. იგი ისე აკეთებდა სვლებს, თითქოს ელვისებურ ტურნირში მონაწილეობდა, როგორც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევაში, იგი შეცდა. მოგება გაჭრა. მაგრამ ამ დროს მას თვითონ ფურმანმა უშველა, რომელიც სასტიკ ციტადელში მოხვდა და ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება. მას საათზე ალამი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა.

მიუხედავად იმისა, რომ ტოლუში მტკიცედ დგას ბოლო ადგილზე, იგი გულს არ იტეხს და გაბედულად თამაშობს. პეტროსიანთან მან გამოიყენა ახალი გაგრძელება ჰოლანდიურ დაცვაში. მწვავე პოზიციაში მან შეცდომა დაუშვა, რაც მას ხშირად მოსდის ამ ჩემპიონატში. პეტროსიანმა ხარისხის შეწირვით მძაფრი იერიში მიიღო და 37-ე სვლაზე გაიმარჯვა.

საინტერესოდ ვითარდებოდა გურგენიძე - ბრონშტეინის შეხვედრა. XXIV ჩემპიონატში გურგენიძემ მოუგო გროსმაისტერს. სიცილიურ დაცვაში, რომელიც გროსმაისტერმა გაითამაშა, გურგენიძემ მიმართა ცნობილი საბჭოთა თეორეტიკოსის ვ. რაუზერის სისტემას და დაუყოვნებლივ შეუტია მეფის ფრთას. მაშინ ბრონშტეინმა განახორციელა პაიკის შეწირვა, რითაც გარტყუა თბილისელის ლაზიერი საჭიქმედო ასპარეზიდან. ბრონშტეინის ფიგურებმა შეუტიეს გურგენიძის მეფეს. შეიქმნა მეტად სახიფათო მდგომარეობა, მაგრამ ქართველი ოსტატი თავგამოდებით აწარმოებდა დაცვას და თან გაცვლებით ამცირებდა შეტევაზე გადმოსული ფიგურების რაოდენობას. მე-40 სვლისთვის, როცა პოზიცია სავსებით გაჭარტეოა, მოწინააღმდეგეს ეაიმზე შეთანხმდნენ.

კარგად თამაშობდა პოლუგაევსკი გელერის წინააღმდეგ. ოსტატმა ცენტრში ძლიერი პაიკები მიიღო. გელერმა ორ მათგანში მხედარი შეწირა, მაგრამ ინიციატივის ხელში ჩაგდება მაინც ვერ შეძლო. პოლუგაევსკიმ ჩინებული თამაშით მოიგო პარტია.

ყაიმით დამთავრდა კორჩნოი-გიპსლისის და სუეტინ-ბოლესლავსკის პარტიები.

XVI ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ტ. პეტროსიანს 10,5 ქულა აქვს, ბ. სპასკის —9,5 და ორი გადადებული პარტია, მ. ტალს — 9,5 და პოლუგაევსკისთან გამოტოვებული პარტია, დ. ბრონშტეინსა და ბ. გურგენიძეს — 8,5 და თითო გადადებული პარტია, ვ. კორჩნოის — 8,5, ი. ავერბახს — 8 და ერთი გადადებული პარტია, ე. გელერს — 7,5 და ორი გადადებული პარტია.



გამოვლინდა კიდევ ერთი უძლიერესი

უელსის მთავარ ქალაქ კარდიფში გაიმართა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის უკანასკნელი შესარჩევი მატჩი. თამაშობდნენ უელსისა და ისრაელის ნაკრები გუნდები (როგორც ცნობილია, მათი პირველი შეხვედრა ტელ-ავივში დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 2:0).

ორივე გუნდი სრული ძალით იბრძოდა გამარჯვებისათვის, მაგრამ მასპინძლების უპირატესობა ცხადი იყო. განსაკუთრებით იარხელა თავი სტუმრების მეკარემ იაკობ ხოდოროვმა, რომელმაც გადაარჩინა თავისი გუნდი დიდი ანგარიშით წაგებას. ანგარიში გაიხსნა თამაშის 79-ე წუთზე, როცა უელსის მარცხენა შუამარბი ალჩიორჩი შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. გვერდი აუარა 4 მოთამაშეს და თითქმის პირითი ხაზიდან ძლიერად დარტყმული ბურთი გაგზავნა კარის მაღალ კუთხეში. 3 წუთის შემდეგ მეორე ბურთი გაიტანა ჯონსონმა. შეხვედრა მოიგო და სტოკჰოლმში გამგზავრების უფლება მოიპოვა უელსის ნაკრებმა აღსანიშნავია, რომ ისრაელის მეკარემ ხოდოროვმა 63-ე წუთზე ტრავმა ჭიიღო. მაგრამ მიუხედავად ამისა, არ დატოვა კარი.

ამრიგად, გამოვლინდა 16 უძლიერესი. ესენი არიან: გფრ-ი, შვეიცარგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი, მექსიკა, სსრ კავშირი, საფრანგეთი, ავსტრია, უნგრეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, ინგლისი, შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია და უელსი.

* * *

გუშინ შვეიცარიაში გაიმართა მსოფლიო პირველობის მონაწილე გუნდების კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად სტოკჰოლმს გაფრინდა ფეხბურთის საკავშირო სექციის თავმჯდომარე ვ. გრანატკინი.

ბერლინი. დასავლეთ ბერლინში გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება დახურულ შენობაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ძ. შაინბაჰმა დაამყარა ახალი გერმანიის ახალი რეკორდი სიგრძეზე ხტომაში — 7,47 მეტრი.

* * *

ნიუ-იორკი. დახურულ შენობაში მძლეოსანთა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს: როუე